



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87211881

თარიღი:07/07/2021

განკარგულება N19

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის # 628 დადგენილების და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1.„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #628 დადგენილებისა და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით განსაზღვრული წესის თანახმად, მოწონებულ იქნას თანდართული დანართის შესაბამისად, 2021-2022 წლებში სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი შემდეგი პროექტები:

- ა) ქ. ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ბ) ციხე-ქალაქ კვეტერის ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზება მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით;
- გ) ორმუხის ბუნებრივი და ტურისტული პოტენციალის გამოყენების მიზნით გადასახედისა და მისასვლელი გზის მოწყობა;
- დ) ქ. ახმეტაში „წყაროების“ ტერიტორიის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების მომსახურებისათვის;
- ე) ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთში „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2. ნება დაერთოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული

განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ქ. თელავის სასამართლოში (მის: ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

